ანა კლდიაშვილი ნინო ღაღანიძე თამარ ჯაყელი

ხელოვნება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი



ხელოვნება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორები: ანა კლდიაშვილი
ნინო ღაღანიძე
თამარ ჯაყელი

გრიფი მიენიჭა 2012 წელს საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ

გამომცემლობა „კლიო“

ანა კლდიაშვილი, ნინო ღაღანიძე, თამარ ჯაყელი

ხელოვნება

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება

IX კლასი

მასწავლებლის წიგნი

რედაქტორი **ნანა კუპრაშვილი**
თბილისის სახელმწიფო სამხატვრო
აკადემიის პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა **ირმა ლიპარტელიანი**

© გამომცემლობა „კლიო“ 2012
© ა. კლდიაშვილი, ნ. ღაღანიძე, თ. ჯაყელი 2012

ყველა უფლება დაცულია

გრიფის მინიჭების წელი — 2012

ISBN 978-9941-441-11-0

Ana Kldiashvili, Nino Gaganidze, Tamar Jakeli

ART

9th GRADE TEACHER'S BOOK

გამომცემლობა „კლიო“
აღმაშენებლის გამზ. №181, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www.klio.ge

დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანის“ სტამბაში.
თბილისი, ცემის ქ. №3. E-mail: meridiani777@gmail.com

მასწავლებლის წიგნის შინაარსი

I. შესავალი 6

II. სახელმძღვანელოს სტრუქტურა (კომენტარები მოსწავლის წიგნის თითოეული სტრუქტურული ელემენტის შესახებ) . . . 6

III. მე-7 კლასის სტანდარტი სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში 8

IV. სახელმძღვანელოს შესაბამისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან 11

V. გაკვეთილის დაგეგმვის ზოგადი პრინციპები . . . 17

VI. რეკომენდებული შეფასება სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში 18

VII. შენიშვნები მასწავლებლის წიგნთან დაკავშირებით . . 20

VIII. მოსწავლის წიგნის შინაარსი 21

IX. გაკვეთილების სავარაუდო სცენარები 22

VIII. გაკვეთილების სავარაუდო სცენარები

1. რას ეხება ეს წიგნი

მიზანი: მოსწავლე გაეცნოს კულტურის ცნებას, ქართული ხელოვნების განვითარების ძირითად ეტაპებს და ქართული კულტურის ძირითად მახასიათებლებს.

შეფასება: მსჯელობა, საკუთარი აზრის გამოთქმისა და არგუმენტირების უნარი, სხვისი აზრის მოსმენის უნარი.

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. კითხვა-პასუხი, ახალი ცნების გაცნობა — 15 წთ; 2. დამატებითი ინფორმაციის გაცნობა — 10 წთ; 3. კითხვა-პასუხი, მსჯელობა — 15 წთ; 4. მასწავლებლის საუბარი — 5 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო, CD, ინტერნეტით მოძიებული მასალა, სამეცნიერო პოპულარული ფილმები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

შედეგი: ს.გ.IX.4. • გამოთქვამს მოსაზრებას ხელოვნების ნიმუშის მხატვრული ღირებულების შესახებ და ცდილობს დაასაბუთოს საკუთარი აზრი.

ს.გ.IX.5. • ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ხელოვნებას რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით (სტილი, თემა, ჟანრი);

ს.გ.IX.6. • სხვადასხვა ვიზუალური ელემენტების მიხედვით ამოიცნობს ეპოქას, რომელიც ასახულია ნამუშევარში (ტანსაცმელი, ნივთები, ტრანსპორტი და სხვ.);

• აგროვებს ინფორმაციას იმ ისტორიულ პერიოდსა და მოვლენებზე, რომლებმაც გავლენა იქონია კონკრეტული ხელოვანის შემოქმედებაზე და აცნობს თანაკლასელებს მოხსენების და თვალსაჩინო მასალის სახით;

ს.გ.IX.7. ასახელებს ხელოვნების დარგებს, რომლებიც ნიშანდობლივია ქართული ხალხური შემოქმედებისათვის (ხეზე კვეთა, ჭედურობა, ქარგვა, ქსოვა, თექა.);

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა I

თავდაპირველად მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს, რომ ყველაფერი, რაც ჩვენს გარშემო არსებობს ან ღვთის ხელითაა შექმნილი (ბუნება, მნათობები, ვარსკვლავები და სხვ.), ან ადამიანის.

მან შეიძლება აქ დასვას ინტერაქტივის კითხვები: „ჩამოთვალეთ ყოველივე ის ჩვენს სამყაროში, რაც ადამიანის ხელით არაა შექმნილი; ჩამოთვალეთ, რა არის ჩვენს გარშემო ადამიანის ხელით შექმნილი".

მოსწავლეებისათვის ეს მარტივი შეკითხვაა და მათ ამ კითხვაზე პასუხი არ გაუჭირდებათ, თუმცა ამ შეკითხვებით მასწავლებელი მოამზადებს ნიადაგს ახალი ცნების — კულტურის — ასახსნელად.

ის განუმარტავს მოსწავლეებს, რომ ყოველივე, რაც ადამიანის ხელითაა შექმნილი (ნაკეთობები, ნივთები, საგნები და სხვ.) კულტურას ეკუთვნის.

აქ მასწავლებელს შეუძლია დასვას შეკითხვა: „არის თუ არა ეს მაგიდა, რომელიც საკლასო ოთახში დგას, კულტურის კუთვნილება?" პასუხი შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ეს მაგიდაც ადამიანის ხელითაა შექმნილი და ამდენად, ის კულტურის კუთვნილებაა. მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს ამგვარ დავალებას: ,,წარმოიდგინეთ, რომ თქვენ მომავალში ცხოვრობთ და არქეოლოგიური გათხრებისას ეს მაგიდა აღმოაჩინეთ. ჩათვლით თუ არა მას კულტურის ძეგლად და ეტყვის თუ არა რაიმეს ეს მაგიდა შთამომავლობას ჩვენს შესახებ". ეს შეკითხვა მოსწავლეების ფანტაზიას დიდ გასაქანს მისცემს, მაგრამ მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ მომენტზე, რომ დროის ცვალებადობასთან ერთად, იცვლება კულტურა, გემოვნება, და რომ ყოველი ნივთი მის მფლობელზე და ეპოქაზე „ამბავს ჰყვება". თუ დღეს ამ მაგიდას არა აქვს არანაირი ფასეულობა, გარდა პრაქტიკულისა, მომავალი თაობებისათვის ის შეიძლება მრავლისმეტყველი გახდეს და დღევანდელი კულტურის ნიმუშად იქცეს ისე, როგორც ვთქვათ, არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი რომელიმე მაგიდა დღეს ჩვენთვის მატერიალური კულტურის ძეგლს წარმოადგენს. ამის შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ეს მაგიდა დღევანდელი კულტურის ნიმუშია, მაგრამ არის თუ არა ის ხელოვნების ნიმუში? ცხადია, მოსწავლეები მას ხელოვნების ნიმუშად არ განიხილავენ, რადგან მას არ გააჩნია განსაკუთრებული მხატვრული ღირებულება. ამგვარად, დასკვნა ასეთია: ეს მაგიდა დღევანდელი კულტურის პროდუქტია, მაგრამ არ არის ხელოვნების ნიმუში ანუ ძეგლი. ძეგლის ცნება გარკვეულ მხატვრულ ფასეულობას გულისხმობს.

აქტივობა II

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საქართველოს ტერიტორიაზე სხვადასხვა ეპოქის ძეგლების უწყვეტი არსებობის ფაქტს და ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების ქრონოლოგიურ ჩარჩოებს. დამატებითი ინფორმაცია ქართული ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპების შესახებ მოცემულია წიგნის ბოლოს რუბრიკაში „დამატებითი ინფორმაცია".

აქტივობა III

მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ,,გაიხსენეთ ისტორიიდან სხვადასხვა ეპოქაში ვინ იყვნენ

საქართველოს მეზობლები; როგორ ფიქრობთ, მოახდენდა თუ არა ეს გავლენას ჩვენს კულტურასა და ხელოვნებაზე?“ მოსწავლეები, სავარაუდოდ დაასახელებენ როგორც დასავლეთის ქვეყნებს (მაგ.: ბიზანტია), ისე აღმოსავლეთის ქვეყნებს (სპარსეთი, ურარტუ და ა.შ.). მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს სწორედ ამ საკითხზე, რომ საქართველოს მუდმივად ორი სამყაროს — დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარე ქვეყანა იყო და რომ საკუთარ წიაღში იკრებდა ორივე კულტურის ნიშნებს, ყველა ეპოქაში ეს იყო მისი კულტურის თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ფაქტორი. აქ მასწავლებელმა შეიძლება ნიმუშად მოიყვანოს გვიანი შუასაუკუნეების რომელიმე არქიტექტურული ძეგლი, მაგ., ანჩისხატის სამრეკლო, რომელიც ტიპიური ნიმუშია მართლმადიდებლური არქიტექტურისა, მაგრამ შეისრული თაღები, რომელიც ამ სამრეკლოს ამკობს, ირანული არქიტექტურისთვისაა დამახასიათებელი და მის განსაკუთრებულ მხატვრულ სახეს განაპირობებს.

აქტივობა IV

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს წიგნის სტრუქტურას, ესაუბრება, თუ რას ისწავლიან ისინი მთელი წლის განმავლობაში ამ წიგნის მიხედვით.

I. ძველი სამყაროს ხელოვნება

2. როგორ შეისწავლიან სიძველეებს

მიზანი: მოსწავლე გაეცნოს მატერიალური კულტურის ძეგლთა კვლევის ხერხებსა და მეთოდებს, ფლობდეს ინფორმაციას უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ, შეიძინოს არქეოლოგიური განათხარის დაფიქსირების მარტივი უნარი.

შეფასება: მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტირების უნარი, სხვისი აზრის მოსმენის უნარი.

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. კითხვა-პასუხი — 10 წთ; 2. მსჯელობა, ინტერაქტივის კითხვებზე პასუხის გაცემა — 15 წთ; 3. კითხვა-პასუხი, მსჯელობა — 10 წთ; 4. ახალი ინფორმაციის მიწოდება — 10 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო, CD, ინტერნეტით მოძიებული მასალა, სამეცნიერო პოპულარული ფილმები.

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური

შედეგი: ს.გ.IX.5. • ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ისტორიული პერიოდის ხელოვნებას რამდენიმე მახასიათებლის მიხედვით (სტილი, თემა, ჟანრი);

ს.გ.IX.6. • სხვადასხვა ვიზუალური ელემენტების მიხედვით ამოიცნობს ეპოქას, რომელიც ასახულია ნამუშევარში (ტანსაცმელი, ნივთები, ტრანსპორტი და სხვ.);

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა I

მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ და ჩამოთვალონ მათთვის ნაცნობი ძველი ცივილიზაციები. მოსწავლეები ასახელებენ მათთვის ცნობილ უძველეს სახელმწიფოებს — ეგვიპტეს, შუამდინარეთს; მასწავლებელი სვამს კითხვას: „რა იცით ამ ცივილიზაციების შესახებ?“ სავარაუდოდ, მოსწავლეები ასახელებენ ეგვიპტური და შუამდინარული კულტურის ძეგლებს, მეფეთა და ფარაონთა სახელებს. პასუხების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი საუბარს აგრძელებს შემდეგი კითხვით: „საიდან გვაქვს ინფორმაცია ამ უძველესი კულტურების შესახებ?“ შესაძლოა, მოსწავლეებმა უპასუხონ, რომ ეგვიპტური პირამიდები, მეფეთა სამარხები, შუამდინარული რელიეფები საქვეყნოდაა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი საუბრობს იმის შესახებ, რომ ადამიანის მეხსიერება, ზეპირი გადმოცემები განსაზღვრული დროის შემდეგ, დავიწყებას მიეცემა ხოლმე და რომ არა წარსულის ნივთიერი კულტურა, ჩვენ ბევრი არაფერი გვეცოდინებოდა მათ შესახებ.

ადამიანები ძველთაგანვე ცდილობდნენ წარსულის, ისტორიის მიმართ აღძრული ინტერესი შეძლებისდაგვარად დაეკმაყოფილებინათ და ამიტომ ეძებდნენ წარსულის არა მხოლოდ ხილულ კვალს, არამედ უხილავსაც. ისინი თხრიდნენ მინაში დამალულ ნაქალაქარებსა და სამარხებს. სიძველის სიყვარული ასეთი ადამიანების გატაცება იყო, ისინი სხვადასხვა ეპოქაში ცხოვრობდნენ, სხვადასხვა ინტერესი ამოძრავებდათ, მაგრამ ყველა მათგანი საკუთარი შეხედულებისამებრ იკმაყოფილებდა ცნობისმოყვარეობას და „იკვლევდა" წარსულს.

აქტივობა II

შემდგომ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოემზადონ აქტივობისათვის და სვამს ინტერაქტივის შეკითხვებს. მოსწავლეები განმარტავენ, თუ რა არის არქეოლოგია და რა სმენიათ ან იციან მის შესახებ. მოსწავლეების პასუხები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, ნაწილმა შეიძლება ზუსტად იცის ამ მეცნიერების არსი, მეორე ნაწილისთვის კი ის შეიძლება მხოლოდ გათხრებთან ასოცირდებოდეს. ამიტომ ინტერაქტივის მეორე შეკითხვა არქეოლოგიური გათხრების მიმდინარეობის შესახებ სწორედ იმაზეა ორიენტირებული, რომ კლასის თითოეულ მოსწავლეს სწორი წარმოდგენა შეექმნას არქეოლოგის პროფესიაზე.

პ.ი.კ. *1,2. არქეოლოგიისა და არქეოლოგიური გათხრების შესახებ სწორი ინფორმაცია მოსწავლეებს, სავარაუდოდ, მათივე თანაკლასელებმა შეიძლება მიაწოდონ. ამასთანავე, მასწავლებელი მოუთხრობს მათ, რომ არქეოლოგიას კვლევის საკუთარი მეთოდები გააჩნია და მათი გამოყენებით ზუსტად შეუძლია დაათარიღოს ნაპოვნი ნივთებიც და თავად ობიექტიც.*

თუ მოსწავლეების პასუხები არ იქნება სწორი, მათი მოსმენის შემდეგ, სასურველია, მასწავლებელმა მკაფიოდ დააფიქსიროს, რომ არქეოლოგია წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლებს პოულობს და შეისწავლის. ხოლო არქეოლოგიური გათხრების პროცესი ხანგრძლივი, შრომატევადი წინასწარი სამუშაოების ჩატარების შემდეგ იწყება. ამ ინფორმაციას მოსწავლეები სახელმძღვანელოს გაკვეთილიდანაც მიიღებენ. მოსწავლეები ეცნობიან, აგრეთვე, გათხრების წარმოების ძირითად წესებს, იმას, თუ გათხრებისას როგორ უნდა შენარჩუნდეს გვიანდელი კულტურის კვალი და ზუსტად აღინუსხოს გათხრების დროს აღმოჩენილი ყოველი უმცირესი დეტალიც კი.

აქტივობა III

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ რა კავშირი შეიძლება იყოს არქეოლოგიასა და მეცნიერების ისეთ დარგებს შორის, როგორიცაა, მაგალითად, გეოლოგია, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ. შესაძლოა, მოსწავლეებმა თავად გააგრძელონ ეს ჩამონათვალი და დაუმატონ მას ის დარგები, რომელთა ცოდნა ან რომელთა დახმარებაც, მათი აზრით, აუცილებელია არქეოლოგიური აღმოჩენის დასათარიღებლად, სრულყოფილად შესასწავლად. ამ მოსაზრებების დასაფიქსირებლად სასურველია, გაკეთდეს ერთგვარი თვალსაჩინოება — დიდ ფორმატზე ცენტრში დაიწეროს — არქეოლოგია, ხოლო მის გარშემო მეცნიერების ცალკეული დარგები. თითოეული დარგის დასახელებისას მოსწავლე გამოთქვამს მოსაზრებას და ცდილობს, დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო ესა თუ ის დარგი მატერიალური კულტურის ძეგლთა შესწავლისას.

აქტივობა IV

გაკვეთილის ბოლო ნაწილი ეძღვნება საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებულ გათხრებს. მოსწავლეები შეიტყობენ, რამდენად მდიდარია ჩვენი ქვეყნის ისტორია და არქეოლოგია მნიშვნელოვანი აღმოჩენებით და როგორ უნდა წარიმართოს არქეოლოგიური კვლევა მაშინ, როდესაც მატერიალური კულტურის ნაშთებს შემთხვევით პოულობენ.

სასურველია, მასწავლებელმა ინტერაქტივის შეკითხვის დასმის შემდეგ, გაახსენოს მოსწავლეებს არა მარტო ცნობილი არქეოლოგიური აღმოჩენები, მაგ. ვანის, არმაზის, და ა.შ. არამედ, ახლომდებარე რეგიონებისაც, რათა მოსწავლეებს გაუღვივდეთ ინტერესი საკუთარი კუთხის ისტორიისადმი.

გაკვეთილის მსვლელობისას, შესაძლოა, მოსწავლეებმა ისაუბრონ მსოფლიოში სახელგანთქმულ არქეოლოგიურ აღმოჩენებზე, მოკლე ინფორმაცია მათ შესახებ ტექსტში მოცემულია სათაურით ,,უდიდესი არქეოლოგიური აღმოჩენები". გაკვეთილის დასასრულს მოცემული დავალება სწორედ იმისკენაა მიმართული, რომ მოსწავლეებმა მეტი ყურადღება გამოიჩინონ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიღებული იმ ინფორმაციის მიმართ, რომელიც ახალ აღმოჩენებზე მოუთხრობს მათ. განსაკუთრებით სასარგებლო იქნება მათთვის სახელმძღვანელოში დასახელებული სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ნახვა, რომლებიც ხშირად გადმოიცემა მრავალი სატელევიზიო არხის მეშვეობით. ამგვარი ფილმების ინდივიდუალურად ან კოლექტიურად ნახვის შემდეგ, შესაძლოა, მოსწავლეებმა მოამზადონ მოხსენება მათთვის ცნობილი არქელოგიური აღმოჩენების შესახებ, რაშიც მათ მითითებულ ინტერნეტ-მისამართებზე არსებული ინფორმაციაც დაეხმარება და ამის საფუძველზე იმსჯელონ ამა თუ იმ მათთვის საინტერესო საკითხის შესახებ.

3. უძველესი საცხოვრებელი საქართველოში

მიზანი: მოსწავლე გაეცნოს და შეადაროს ერთმანეთს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული უძველესი საცხოვრებლის ნიმუშები, იმსჯელოს მათი მსგავსება-განსხვავების შესახებ. შეძლოს მარტივი შენობის გეგმის წაკითხვა.

შეფასება: მსჯელობის, საკუთარი აზრის გამოთქმის და არგუმენტირების უნარი, სხვისი აზრის მოსმენის უნარი, დროის ლიმიტის დაცვა.

აქტივობა და დროის ორგანიზება: 1. ახალი მასალის გაცნობა, დამოუკიდებელი დავალების შესრულება — 10 წთ; 2. კითხვა-პასუხი — წთ; 3. მსჯელობა — 10 წთ; 4. დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულება — 10 წთ; 5. მასალის გაცნობა, მსჯელობა — 10 წთ.

რესურსი: სახელმძღვანელო, CD, მასწავლებლის მიერ წინასწარ მომზადებული ბარათები

მუშაობის ფორმა: ინდივიდუალური, წყვილებში

შედეგი: ს.გ.IX.7. • მსჯელობს, რა ხერხებით არის შენარჩუნებული და დაცული ქართულ ხელოვნებაში ხალხური შემოქმედების ტრადიციები;

• იკვლევს, რა მსგავსება და განსხვავებაა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხელოვნების ნიმუშებს შორის (არქიტექტურა, კედლის მხატვრობა და სხვ.).

გაკვეთილის მსვლელობა

აქტივობა I

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს ინფორმაციას სათაურით „როგორ წავიკითხოთ შენობის გეგმა", რომელიც თავის დამატებით ინფორმაციაშია მოცემული. მასწავლებელი უხსნის მათ, რომ ხშირად არქეოლოგიური გათხრებისას პოულობენ დანგრეული შენობის მხოლოდ საძირკველს, რომლის მიხედვითაც არქეოლოგები, არქიტექტორები შენობის გეგმას გამოსახავენ. ამის მაგალითად მას მოჰყავს აქვე წარმოდგენილი იმირის გორის საცხოვრებლის ილუსტრაცია. ის აღწერს ამ გეგმას: შენობა შედგება ორი წრიული ნაწილისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი შედარებით მცირეა, მეორე კი — მოზრდილი. ცენტრში წარმოდგენილი მრგვალი ორმაგი წრე კერიას აღნიშნავს, მის გვერდით შავი წერტილით კი ის ადგილია მონიშნული, სადაც ბოძი იდგა.

ამის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს წყვილებად ჰყოფს და აძლევს დავალებას, რომ მე-2 ნახაზზე გამოსახული გეგმის მიხედვით აღდგენილი შენობა აღწერონ და მასზე მოძებნონ პირველ ნახაზზე გამოსახული ცალკეული ელემენტები. ჯგუფის წევრები 2-3 წუთის განმავლობაში მსჯელობენ და ერთ-ერთი წარმოადგენს საერთო მოსაზრებას.

აქტივობა II

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს საქართველოს ტერიტორიაზე გათხრილი უძველესი საცხოვრებლის ნიმუშებს — კონუსისებური გადახურვის მქონე წრიული სახლების უმარტივეს ნიმუშებს ხრამის დიდი გორიდან. იგი სვამს კითხვას: „როგორ ფიქრობთ, მოსახერხებელი იქნებოდა ასეთ სახლში ცხოვრება თუ არა? სად იძინებდნენ, თქვენი აზრით, ძველი ადამიანები?" სავარაუდოდ, პასუხები სხვადასხვაგვარი იქნება. მასწავლებელი განმარტავს, რომ ისინი, ალბათ, კერიასთან იძინებდნენ, თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია და ზუსტი პასუხი ამ შეკითხვაზე არ არსებობს.

ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს იმირის გორის წრიულ სახლებს (§ 2) და უჩვენებს მათ ილუსტრაციებს. მას შეუძლია, სახლის სტრუქტურის დეტალურ აღწერამდე, თავად მოსწავლეებს აღაწერინოს ეს სახლი და ყურადღება გაამახვილებინოს დამრეცი ფორმის წინკარსა და სამკუთხა ფორმის საყრდენ კედლებზე. შემდეგ მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „როგორ ფიქრობთ, რაში დასჭირდათ მშენებლებს სამკუთხა ფორმის კედლების გამოყენება?"

აქ მოსწავლეებს მოუწევთ თავად კონსტრუქციის გაანალიზება და ამ ანალიზის შედეგად გარკვეული დასკვნების გამოტანა. შესაძლოა, მათ სწორი პასუხიც გასცენ ამ კითხვას. საბოლოოდ მასწავლებელმა უნდა შეაჯამოს მათი პასუხები და კიდევ ერთხელ აუხსნას მოსწავლეებს ამ კედლების ფუნქცია.

პ.ი.კ. *2. სამკუთხა კედლების გაჩენა შემდეგი გარემოებებით იყო გამოწვეული: კონუსისებურ სახლზე მიდგმული დამრეცი ფორმის წინკარი მთელი თავისი სიმძიმით აწვებოდა მთავარი სათავსოს ასეთსავე დამრეც კედელს. როგორც ჩანს, ადამიანმა სამკუთხა კონსტრუქცია გამოიყენა, რომ კედელს ამ სიმძიმისათვის გაეძლო და არ ჩაშლილიყო.*

აქტივობა III

ამის შემდგომ, მასწავლებელი კვლავ უბრუნდება იმირის გორის სახლს ბრტყელი გადახურვით (დამატებითი ინფორმაცია — ნახ. 1, 2), რომელზეც გაკვეთილის დასაწყისში უკვე იყო საუბარი და რომელსაც მოსწავლეები უკვე იცნობენ. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რა არსებით სიახლეს ხედავთ ამ სახლში?" პასუხები მრავალგვარი იქნება: რომ აქ არის ბრტყელი გადახურვა, რომ ერთის ნაცვლად ორი წრიული ფორმის სათავსოა ერთმანეთზე „გადაბმული", რომ აქ კერიის წინ გაჩნდა ბოძი, რომ ეს ნაგებობა ზომით უფრო დიდია. საბოლოო დასკვნა კი იქნება, რომ ამ სახლს უფრო რთული აღნაგობა აქვს.

მასწავლებელმა აქ ყურადღება გადახურვის სხვა სისტემაზე ანუ ბრტყელ გადახურვაზე უნდა

გაამახვილოს. მან უნდა აუხსნას მოსწავლეებს ამ სისტემის არსი. ამისათვის იგი კვლავ სვამს ინტერაქტივის შეკითხვებს: „აღწერეთ, როგორ არის გადებული კოჭები კერიის წინ შემდგარ ბოძზე", „თქვენი აზრით, რა ფუნქციას ასრულებდა კერიის წინ აღმართული ბოძი?"

პ.ი.კ. 3. *ამ კითხვაზე სავარაუდო პასუხი ამგვარია: ამ ბოძსა და კედლებზე გადებული კოჭები ქმნიდა გადახურვის სისტემას ანუ ბოძი სახლის სახურავისათვის საყრდენს წარმოადგენდა.*

რის შემდეგ მასწავლებელი კლასს წყვილებად ჰყოფს და უსვამს მათ შეკითხვას: „რამ უბიძგა მშენებლებს, რომ ბრტყელი გადახურვა გამოეყენებინათ?" „რა უპირატესობა აქვს ბრტყელ გადახურვას?" წყვილებმა ერთმანეთში უნდა იმსჯელონ და საკუთარი მოსაზრება კლასის წინაშე წარმოადგინონ.

პ.ი.კ. 4. *ბოძი იყო გადახურვის მთავარი საყრდენი ელემენტი, ამავე დროს, მას კონკრეტული სიმბოლური მნიშვნელობაც ჰქონდა.*

აქტივობა IV

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ქვაცხელების საცხოვრებელი სახლის გეგმა და თავად სახლის ინტერიერი. ამის შემდგომ მასწავლებელი კლასს ჰყოფს 4-5 კაციან ჯგუფებად. ჯგუფის ერთ ნაწილს აძლევს დავალებას: „რა ელემენტებია ქვაცხელების სახლში ისეთი, რომლითაც ის ხრამისა და იმირის გორის სახლებს გავს და რით განსხვავდება მათგან?" მეორე ნაწილმა კი იმირის გორის ბრტყელსახურავიანი სახლი და ქვაცხელების სახლი უნდა შეადაროს ერთმანეთს და მსგავსება და განსხვავება დააფიქსირონ.

დავალება I

	მსგავსება	განსხვავება
1. იმირისა და ხრამის დიდი გორის კონუსისებური სახლები 2. ქვაცხელების სახლი	*შუაბოძი* *კერია* *ღიობი ჭერში*	*გეგმა* *1. მრგვალი* *2. სწორკუთხა* *გადახურვა* *1. კონუსისებური* *2. ბრტყელი*

დავალება II

	მსგავსება	განსხვავება
1. იმირის გორის სახლი ბრტყელი გადახურვით ქვაცხელების სახლი	*შუაბოძი* *კერია* *ღიობი ჭერში* *გადახურვა — ბრტყელი* *გეგმა — ორნაწილიანი*	*გეგმა* *ორწრიანი — სწორკუთხა*

პასუხები, რომლებიც აქ დახრილი ასოებითაა მოცემული, მოსწავლეებმა თავად უნდა ჩაწერონ.

აქტივობა V

ამის შემდეგ მასწავლებელი უკვე მე-5 პარაგრაფში მოცემულ ქართულ დარბაზს აცნობს მოსწავლეებს და უჩვენებს, როგორ იყრის თავს ყველა ადრეული ელემენტი ამ ტრადიციულ საცხოვრებელში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს დარბაზის გადახურვაზე — გვირგვინზე და სვამს ინტერაქტივის შეკითხვას: „რას მოგაგონებთ ამგვარი გადახურვა?" მოსწავლეები, ცხადია, გუმბათს გაიხსენებენ. გარდა ამისა, მასწავლებელი საგანგებოდ ჩერდება დარბაზის ცენტრში აღმართულ ბოძსა და მის წინ მდებარე კერიაზე და აცნობს მოსწავლეებს დამატებით ინფორმაციას საცხოვრებლის ელემენტების შესახებ (იხ. ამავე გაკვეთილში „კერია და დედაბოძი").